

# საქართველოში სტევიას გამრავლებით დაინტერესდნენ



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ბუნებრივი დაბადკარორიული დამატკობედის, სტევიას (*Stevia Rebaudiana*) ბიოლოგიური მახასიათებლები, მისი უპირატესობები და წარმოების პოტენციალის საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე სტევიას მოყვანის ტექნოლოგიური ინსტრუქცია პროფესორმა ადევო კარანდიამ წარმოადგინა, რომლის განცხადებითაც, მცენარეს არაერთი უპირატესობის გათვალისწინებით, მისი გამოყენება კვების მრეწველობაში სურ უფრო მეტად მიმზიდველი ხდება. სტევია დაბადკარორიული მცენარეა, რომელიც არ შეიცავს ნახშირწყლებს, გაციდებით ტკბილია, ვიდრე სუფრის შაქარი და მისი მიღება დაშვებულია დიაბეტით დაავადებული ადამიანებისთვისაც.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი რევან დავითაშვიდი ესწრებოდა, რომელმაც სტევიას სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე, შესაბამის სამსახურებს მცენარის მოვლა-მოყვანის ხელშემწყობი პროგრამის შემუშავება დაავადა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვიდი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი რევაზ ასათიანი და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი რევან უჭმაჭურიძე ესწრებოდნენ.